საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3-110 09.11.2017

სურსათის ეროვნული სააგენტოს
თბილისის საქალაქო სამსახურის
უფროსს ბატონ ვასილ ბასილაძეს

ბატონო ვასილ,

გმადლობთ ი/მ ბაგრატ მეზურნიშვილის მიერ წარმოებულ პროდუქციაში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის აღმოჩენასთან დაკავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ჩვენი ინფორმირებისათვის (წერილი N 09-2/11284). ამავე დროს, მოწოდებული ინფორმაცია დამატებით კითხვებს ბადებს და იძულებულები ვართ ისევ მოგმართოთ.

1. გთხოვთ გვაცნობოთ, რა ზომებს ატარებს სააგენტო ი/მ თინა ბეგლარაშვილის მიერ წარმოებული, ტყვიით დაბინძურებული პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად, ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის ამოსაღებად, საფრთხის შემცველი პროდუქტის შესახებ მომხმარებლის გასაფრთხილებლად, პროდუქტის მომხმარებლისაგან გამოსათხოვად და მისი დაბინძურების წყაროების დასადგენად.
2. რატომ არ სთხოვს სააგენტო ი/მ ბაგრატ მეზურნიშვილს ტყვიით დაბინძურებული პროდუქტის მომხმარებლისგან გამოთხოვას?
3. რატომ არ ახდენს სააგენტო მოსახლეობის გაფრთხილებას ი/მ ბაგრატ მეზურნიშვილის მიერ წარმოებული მავნე პროდუქტების მოხმარებისაგან თავი შეიკავონ?
4. ჩვენი წინა წერილით, ასევე, გთხოვეთ, მოგეწოდებინათ ი/მ ბაგრატ მეზურნიშვილის მიერ ყვითელი ყვავილის ქსელიდან გამოთხოვის წერილობითი ანგარიში, თუმცა, ეს დოკუმენტი არ მიგვიღია. გთხოვთ მოგვაწოდოთ.

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია
სკითხეთ აშუქებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge